პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ Орган Центрального и Тбилисского комитетов КП (б) Грузии и Советов депутатов трудящихся Грузинской ССР

შაბათი, 25 სექტემბერი, 1943 წ. № 201 (6826). ფასი 20 კაპ.

## საუკეთესოდ მოვამზადოთ საქონლის გამოზამთრებისათვის

[illegible]

...გომების რემონტი და ახლის აშენება. ფართოდ უნდა დავნერგოთ მოწინავე კოლმეურნეობების მდიდარი გამოცდილება, რაც იმაში მდგომარეობს, რომ საქონლის სადგომების აშენებისას ისინი მაქსიმალურად იყენებენ ადგილობრივ რესურსებს და საკუთარი საშუალებებით, ადგილზე გამოძებნილი მასალებით აგებენ სადგომებს. მაგრამ ყველგან ასე როდი იქცევიან. დუშეთის რაიონში საქონლის 21 სადგომის შარშან დაწყებული მშენებლობა ჯერაც არ არის დამთავრებული. ეს იმით აიხსნება, რომ საქ. კ. პ. (ბ) დუშეთის რაიონული კომიტეტი, რაისაბჭოს აღმასკომი, რაიმიწგანი მეცხოველეობის საკითხებს ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ. არც ის არის შესაწყნარებელი, რომ თელავის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებს საქონლის სადგომები არ გააჩნიათ. თელავის რაიმიწგანი ვალდებულია უფრო

[illegible]

...ბილია თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის მიღების კანდიდატად. სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში საბოლოო გამარჯვებისათვის საჭიროა წარმატებით დავამთავროთ სასოფლო-სამეურნეო წელი, საუკეთესოდ გამოვაზამთროთ საქონელი, მთლიანად და გადამეტებით შევასრულოთ მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა.

სოციალისტური მეცხოველეობის მუშაკები აღფრთოვანებულნი უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშლის ამხანაგ **სტალინის** ბრძანებებითა და გმირი წითელი არმიის ბრწყინვალე შეტევით, კიდევ უფრო გააჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას. მიაღწევენ საერთო აღმავლობას, რომ ჩვენმა ქვეყანამ, ფრონტმა მიიღონ მეცხოველეობის სულ უფრო და უფრო მეტი პროდუქტები.

## ბრძანებულება
### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
### „წარჩინებული მეორთქლმავლის", „მოძრაობის წარჩინებული მუშაკის", „წარჩინებული ლიანდაგის მუშაკის", „კავშირგაბმულობის წარჩინებული მუშაკის", „წარჩინებული მევაგონის", „წარჩინებული მშენებლის", „წარჩინებული აღმდგენის", „წარჩინებული ადმინისტრატიული მუშაკის" სამკერდე ნიშნების დამტკიცების შესახებ

რკინიგზის ტრანსპორტის უფროსთა და რიგითი შემადგენლობის განსაკუთრებით წარჩინებულ პირთა წახალისების მიზნით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დამტკიცდეს რკინიგზის ტრანსპორტის უფროსთა და რიგითი შემადგენლობისათვის სამკერდე ნიშნები: „წარჩინებული მეორთქლმავლე", „მოძრაობის წარჩინებული მუშაკი", „ლიანდაგის წარჩინებული მუშაკი", „კავშირგაბმულობის წარჩინებული მუშაკი", „წარჩინებული მევაგონე", „წარჩინებული მშენებელი", „წარჩინებული აღმდგენი", „წარჩინებული ადმინისტრატიული მუშაკი".

2. დამტკიცდეს დებულებანი სამკერდე ნიშნებისა „წარჩინებული მეორთქლმავლე", „მოძრაობის წარჩინებული მუშაკი", „ლიანდაგის წარჩინებული მუშაკი", „კავშირგაბმულობის წარჩინებული მუშაკი", „წარჩინებული მევაგონე", „წარჩინებული მშენებელი", „წარჩინებული აღმდგენი", „წარჩინებული ადმინისტრატიული მუშაკი".

3. „წარჩინებული მეორთქლმავლის", „მოძრაობის წარჩინებული მუშაკის", „ლიანდაგის წარჩინებული მუშაკის", „კავშირგაბმულობის წარჩინებული მუშაკის", „წარჩინებული მევაგონის", „წარჩინებული მშენებლის", „წარჩინებული აღმდგენის", „წარჩინებული ადმინისტრატიული მუშაკის" სამკერდე ნიშნებით დაჯილდოების უფლება მიენიჭოთ გზათა სახალხო კომისარს, გზათა სახალხო კომისარიატის მთავარ და ცენტრალურ სამმართველოთა უფროსებს, გზათა უფროსებს, ფრონტების სამხედრო-აღდგენით სამუშაოთა სამმართველოების უფროსებს და რკინიგზათა სამსახურის უფროსებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. კალინინი**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი. 1943 წ. 22 სექტემბერი.

## პოლტავა

პოლტავა ისეთი სიტყვაა, რომელიც სამუდამოდ ჩაწერილია რუსეთის იარაღის დიდების ოქროს წიგნში. 234 წლის წინათ აქ პეტრე პირველმა გაანადგურა და მოსპო კარლოს XII-ის არმია. ეს იყო ბრძოლა, რომელმაც გადაწყვიტა რუსეთის ბედი. ტყუილად კი არ სწერდა პუშკინი ერთ-ერთ თავის სიკვდილწინა ლექსში:

„Годовщину ли Полтавы
Торжествует государь,
День, как жизнь своей державы
Спас от Карла русский царь".

და მართლაც, კარლოს XII იმისათვის მოვიდა, რომ რუსეთის მიწა-წყალი დაეპყრო. პეტრემ კი სთქვა: „კარლოსი ოცნებობს, რომ ალექსანდრე მაკედონელი იყოს. მაგრამ ის ჩემში დარიუსს ვერ იპოვნის". მართებულად მოიხსენია პეტრემ მხდალი მეფე დარიუსი, რომელიც ალექსანდრე მაკედონელმა დაამარცხა. რუსეთში „დარიუსები" არ ყოფილან და არ არიან. — რუს ხალხს მთელი თავისი ისტორიის მანძილზე არასოდეს არ დაუხრქნია უცხოელი დამპყრობის წინაშე, ის ზუმბერაზივით აღსდგებოდა მტრის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის და ამარცხებდა მას. რა თქმა უნდა, არ შეიძლება კარლოს XII შევადაროთ საზიზღარ არამზადა ჰიტლერს, რომელმაც 1941 წელს დასძრა გერმანელ ყაჩაღთა ურდოები რუსეთის წინააღმდეგ. მაგრამ უკრაინის განთავისუფლება, ისევე როგორც კარლოსის შემოსევის დროს, რუსეთში შემოჭრილი არმიის დაღუპვის პროლოგს წარმოადგენს ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

დღეს წითელმა არმიამ საბჭოთა ხალხს დაუბრუნა პოლტავა. ხვალ იგი დაუბრუნებს ყველაფერს, რაც კი ჯერ კიდევ დარჩენილია ყაჩაღთა ურდოს ხელში, ჩვენი სამშობლოს ტერიტორიას — უკანასკნელ მტკაველამდე.

დიდება ჩვენს გმირებს — საბჭოთა მიწა-წყლის განმათავისუფლებლებს!

აკადემიკოსი **ე. ვ. ტარლე**

მოსკოვი, 23 სექტემბერი (საკდესი).

## საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
### 24 სექტემბრის ოპერატიული ცნობა

[illegible]

...გერმანელები და გავიდნენ ლიმან ვიტიაზევსკისთან. სხვა რაიონში ჩვენმა ნაწილებმა გააფთრებული ბრძოლების შედეგად დაიკავეს დიდი დასახლებული პუნქტი გასტაგაევსკაია. ამ პუნქტისათვის ბრძოლაში მოსპობილია გერმანელთა ერთ ბატალიონზე მეტი ქვეითი ჯარი.

* * *

დნეპროპეტროვსკის მიმართულებით 6 შენაერთის ნაწილებმა გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა, შეიჭრნენ დიდ დასახლებულ პუნქტ სპასკოეში და დაიკავეს იგი. გერმანელები შეეცადნენ დაებრუნებინათ ეს პუნქტი, რომელიც იცავს ნიჟნედნეპროვსკის მისადგომებს, და რამდენიმე გააფთრებული კონტრიერიში მოიტანეს. ჩვენმა მებრძოლებმა ჰიტლერელთა ყველა კონტრიერიში მოიგერიეს. მოსპობილია გერმანელთა 8 ტანკი, თვითმავალი ქვემეხი და მოწინააღმდეგის 300-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. ჩვენი სხვა შენაერთი დაედევნა გერმანელებს და წინ წაიწია 15-მდე კილომეტრით. მოსპობილია 800-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ 18 ქვემეხი, 5 ნაღმსატყორცნი, 66 ტყვიამფრქვევი და 40 ავტომანქანა სხვადასხვა ტვირთიანად.

* * *

კრემენჩუგის მიმართულებით მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარი, ტანკებითა და თვითმავალი ქვემეხებით გაძლიერებული, ცდილობდა შეეჩერებინა ჩვენი შემტევი ნაწილების წინსვლა. ჩვენი ჯარები ამსხვრევდნენ მტრის წინააღმდეგობას, წარმატებით მიიწევდნენ წინ და დაიკავეს 100-ზე მეტი დასახლებული პუნქტი. გერმანელები უკანდახევისას ჰყრიან საარტილერიო და ქვეითი ჯარის საჭურველს, სამხედრო მასალებსა და სხვადასხვა სამხედრო ქონებას. მარტო ერთმა ჩვენმა ნაწილმა ხელთ იგდო 28 ქვემეხი, 77 ტყვიამფრქვევი და 3 საწყობი საომარი მასალა. 6 შენაერთის ტანკისტები გაიჭრნენ მოწინააღმდეგის ზურგში, დახოცეს 500-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, ხელთ იგდეს 15 ქვემეხი, ერთი დიდი საწყობი საწვავიანად და საჭურვლის საწყობი. წამოყვანილია ტყვეები.

ჩვენმა ნაწილებმა გაათავისუფლეს ათეულათასობით მშვიდობიანი მოქალაქენი, რომელთაც გერმანელები მიერეკებოდნენ გერმანიის კატორღაში.

* * *

კიევის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევის განვითარებას. 6 შენაერთის მებრძოლებმა ფიცხელი იერიშის შედეგად დაიკავეს კიევის ოლქის ქალაქი ბორისპოლი. მოწინააღმდეგემ რამდენიმე კონტრიერიში მიიტანა, მაგრამ, დაჰკარგა რა 400-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი მოკლულთა სახით, იძულებული გახდა უკუქცეულიყო. სხვა უბანზე ჩვენმა ჯარებმა განავითარეს შეტევა და გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისაგან გასწმინდეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტები. ამ პუნქტებისათვის ბრძოლებში გაჟლეტილია 1.000-ზე მეტი ჰიტლერელი. დაზიანებული და დამწვარია გერმანელთა 16 ტანკი. ხელთ ვიგდეთ დავლა და ტყვეები.

* * *

გომელის მიმართულებით მოწინააღმდეგე ცდილობდა გამაგრებულიყო მდინარე იპუტზე—წინასწარ მომზადებულ თავდაცვით ზღუდეზე. გააფთრებული ბრძოლის შედეგად საბჭოთა ჯარებმა განდევნეს გერმანელები ამ ზღუდიდან, გადავიდნენ მდინარეზე და დაიკავეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტები. მარტო ერთ-ერთ გადასასვლელ-

[illegible]

...უბანზე ჩვენმა ჯარებმა წინ წაიწიეს და დაიკავეს ორიოლის ოლქის რაიონული ცენტრი კლიმოვო. ხელთ ვიგდეთ საწყობები სამხედრო ქონებიანად და სხვა დავლა.

* * *

სმოლენსკის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას. მტერი შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევს, მაგრამ საბჭოთა ნაწილების დარტყმების შედეგად იძულებულია ზედიზედ დასტოვოს პოზიციები. 6 შენაერთის ნაწილებმა დაიკავეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტები, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტი კორელი, 11 კილომეტრზე სმოლენსკის ჩრდილო-აღმოსავლეთით. სხვა უბანზე ჩვენმა ქვეგანაყოფებმა, დაიკავეს დასახლებული პუნქტი პოჩალოვო და გადასჭრეს როსლავლ-სმოლენსკის გზატკეცილი.

* * *

წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის ავიაციამ ბალტიის ზღვაში ჩაძირა გერმანელთა ტრანსპორტი 6.000 ტონა წყალწყვისა. ფინეთის ყურეში დაზიანებულ იქნა მოწინააღმდეგის სადარაჯო კატერი. საჰაერო ბრძოლაში საბჭოთა მფრინავებმა ჩამოაგდეს გერმანელთა 4 თვითმფრინავი.

შავი ზღვის ფლოტის ავიაციამ შავ ზღვაში ჩაძირა მოწინააღმდეგის ტრანსპორტი 3.000 ტონა წყალწყვისა, 7 სადესანტო კარჭაპი, 2 თვითმავალი პონტონი და ერთი კარჭაპი. ჩვენი მფრინავები ურტყამდნენ მოწინააღმდეგის ჯარებს ტამანის ნახევარკუნძულზე და მოსპეს 200-მდე ავტომანქანა, 3 ბენზინმზიდი, ორი პროჟექტორი. აფეთქეს საომარი მასალების ორი საწყობი და საწვავის საწყობი. საჰაერო ბრძოლებში ერთი დღის განმავლობაში ჩამოგდებულია გერმანელთა 14 თვითმფრინავი.

* * *

ვოლინის ოლქში მოქმედმა რამდენიმე პარტიზანულმა რაზმმა სექტემბრის დამდეგს ლიანდაგიდან გადააგდო გერმანელთა 4 სამხედრო ეშელონი. დამტვრეულია 4 ორთქლმავალი, 17 პლატფორმა ტანკებიანად და ავტომანქანებიანად, 2 ცისტერნი საწვავიანად და 58 ვაგონი სხვადასხვა ტვირთიანად.

* * *

გერმანელთა 216-ე ქვეითი დივიზიის 348-ე პოლკის ჯარისკაცმა, წითელი არმიის მხარეზე გადმოსულმა ალფრედ ლ-მ განაცხადა: „ჩვენი პოლკი უწესრიგოდ იხევდა უკან და უდიდეს ზარალს განიცდიდა. ყველა ძალული ერთმანეთში აირია. შტაბში სრული არევდარევა სუფევდა. ბრძანებებს ხშირად სცვლიდნენ და ისინი ერთი-მეორეს ეწინააღმდეგებოდნენ. მაგალითად, ძალულის მეთაურმა ბრძანა — დაიკავეთ თავდაცვის ხაზი სოფელ ნ-ს აღმოსავლეთით. უეცრად მოვიდა ბრძანება— დაუყოვნებლივ დაიხიეთ უკან, უფრო შორს. ის-ის იყო 10 კილომეტრით დავიხიეთ უკან, რომ მოგვაყოლეს ახალი ბრძანება — დაბრუნდით 6-ში და თავდაცვა დაიკავეთო. ამ ცოტა ხნის წინათ ჩვენთან მოვიდა დივიზიის მეთაური—გენერალ-მაიორი ფონ გილზა. მან ჯარისკაცებს მიმართა სიტყვით, რომელშიც სთქვა: „ჯარისკაცებო! დროა შევწყვიტოთ სამარცხვინო უკანდახევა. ჩვენ რუსებს დესნაზე არ გადაუშვებთ. ტოდტის ნაწილებმა დესნაზე ააგეს ძლიერ გამაგრებული ხაზი, რომელსაც რუსები ვერ გაარღვევენო". ამის შემდეგ მხოლოდ რამდენიმე დღემ განვლო. რუსებმა არათუ გაარღვიეს ჩვენი თავდაცვითი ზღუდეები მდინარეზე, არამედ ახალი მძიმე ზარალიც მიაყენეს გერმანიის ჯარებს".

## ბრძანებულება
### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
### პროკურატურის ორგანოების საპროკურორო - საგამომძიებლო მუშაკთათვის საკლასო ხარისხების დაწესების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაწესდეს პროკურატურის ორგანოების საპროკურორო-საგამომძიებლო მუშაკთათვის შემდეგი საკლასო ხარისხები:

იუსტიციის ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი.
იუსტიციის 1-ლი კლასის სახელმწიფო მრჩეველი.
იუსტიციის მე-2 კლასის სახელმწიფო მრჩეველი.
იუსტიციის მე-3 კლასის სახელმწიფო მრჩეველი.
იუსტიციის უფროსი მრჩეველი.
იუსტიციის მრჩეველი.
იუსტიციის უმცროსი მრჩეველი.
1-ლი კლასის იურისტი.
მე-2 კლასის იურისტი.
მე-3 კლასის იურისტი.
უმცროსი იურისტი.

2. იუსტიციის ნამდვილი სახელმწიფო მრჩევლის საკლასო ხარისხის მინიჭება ხდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით.

დანარჩენი საკლასო ხარისხების მინიჭება ხდება სსრ კავშირის პროკურორის ბრძანებებით.

3. დამტკიცდეს სსრ კავშირის პროკურატურის ორგანოების საპროკურორო-საგამომძიებლო მუშაკთა სამოქალაქო ხარისხებისა და სამხედრო წოდებათა შედარებითი ცხრილი.

4. დამტკიცდეს სსრ კავშირის პროკურატურის ორგანოების საპროკურორო-საგამომძიებლო მუშაკთა საკლასო ხარისხების დებულება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. კალინინი**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი, 1943 წ. 16 სექტემბერი.

## შედარებითი ცხრილი
### სსრ კავშირის პროკურატურის ორგანოების საპროკურორო-საგამომძიებლო მუშაკთა საკლასო ხარისხებისა და სამხედრო წოდებებისა

| კლასი | ხარისხის დასახელება | შესაბამისი სამხედრო წოდება |
|---|---|---|
| უმაღლესი შემადგენლობა | | |
| 1. | იუსტიციის ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი | არმიის გენერალი |
| 2. | იუსტიციის 1-ლი კლასის სახელმწიფო მრჩეველი | გენერალ-პოლკოვნიკი |
| 3. | იუსტიციის მე-2 კლასის სახელმწიფო მრჩეველი | გენერალ-ლეიტენანტი |
| 4. | იუსტიციის მე-3 კლასის სახელმწიფო მრჩეველი | გენერალ-მაიორი |
| უფროსი შემადგენლობა | | |
| 5. | იუსტიციის უფროსი მრჩეველი | პოლკოვნიკი |
| 6. | იუსტიციის მრჩეველი | პოდპოლკოვნიკი |
| 7. | იუსტიციის უმცროსი მრჩეველი | მაიორი |
| საშუალო შემადგენლობა | | |
| 8. | 1-ლი კლასის იურისტი | კაპიტანი |
| 9. | მე-2 კლასის იურისტი | უფროსი ლეიტენანტი |
| 10. | მე-3 კლასის იურისტი | ლეიტენანტი |
| 11. | უმცროსი იურისტი | უმცროსი ლეიტენანტი. |



გვარდიის გენერალ-მაიორი მ. ე. როსტომაშვილი



საბჭოთა კავშირის გმირი ვ. ი. პოკროვი

## გვარდიის გენერალ-მაიორი მ. ე. როსტომაშვილი

[illegible]

...სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში. 1940 წელს მას მიენიჭა სახელმწიფო უშიშროების მაიორის წოდება და კარგი მუშაობისათვის დაჯილდოებულ იქნა „საპატიო ნიშნის" ორდენით.

[illegible]

...მებრძოლები. წითელი არმიის სხვა ნაწილებთან და შენაერთებთან ერთად მიერეკებიან დასავლეთისაკენ გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს.

ლ. კაკიაშვილი

## საბჭოთა კავშირის გმირი ვ. ი. პოკროვი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წ. 8 სექტემბრის ბრძანებულებით გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის გვარდიის უმცროს ლეიტენანტ ვიტალი ივანეს-ძე პოკროვს მიენიჭა სსრ კავშირის გმირის წოდება და გადაეცა ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი".

ამხ. პოკროვი დაიბადა 1922 წელს. იგი აღიზარდა მზიურ აფხაზეთში, სადაც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში საცხოვრებლად გადმოვიდნენ მისი მშობლები.

ვ. პოკროვი ბავშვობიდანვე ოცნებობდა გამხდარიყო მფრინავი. გაგრის სკოლაში სწავლის პერიოდში იგი ხელმძღვანელობდა ავიამოდელისტთა წრეს. წრის საუკეთესო მუშაობისათვის მადლობა და საჩუქრებიც მიიღო. 1937 წელს იგი ჩარიცხეს საპლანერო სკოლაში, სადაც მეცადინეობდა ათწლედში სწავლისაგან მოუწყვეტლივ. შემდეგ წავიდა მოსკოვში და შევიდა სამხედრო საავიაციო სკოლაში.

საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი რომ დაიწყო, ამხ. პოკროვი უკვე მფრინავი იყო. მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა სათანადო გამოცდილება რთული საავიაციო ბრძოლებისა, მაგრამ მაინც ომის პირველი დღეებიდანვე გაბედულად ჯდება საბჭოთა ავიაგამანადგურებელში და დაუნდობლად იბრძვის ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ. მას შემდეგ დაფრინავს ეს უშიშარი სტალინური შევარდენი. ყოველ საჰაერო ბრძოლაში იგი თავის ამხანაგებთან ერთად გამარჯვებული გამოდის. ერთ-ერთი საფრონტო გაზეთი აგწერს ვ. პოკროვის პირველი ბრძოლების ეპიზოდს:

ჯერ კიდევ არც ისე დიდიხანია, რაც სერჟანტმა პოკროვმა დაამთავრა საფრენოსნო სკოლა. იგი ფრონტზე მოსვლის დღიდან უკვე საბრძოლო ვითარებაში აუმჯობესებს პილოტირების საკუთარ ტექნიკას.

ახალგაზრდა მფრინავმა სარდლობის დავალების შესრულების დროს, ჩვენი სახმელეთო ჯარების დაცვისას შენიშნა ფაშისტური თვითმფრინავი. სერჟანტმა პოკროვმა გაბედულად გააქანა თავისი თვითმფრინავი ფაშისტ მეკობრეს წინააღმდეგ. მტრის მსროლელმა შენიშნა წითელვარსკვლავიანი ავიაგამანადგურებელი და ტყვიამფრქვევის სეტყვისებური ცეცხლი დაუშინა მას. საბჭოთა მფრინავი, რომელმაც თავი არ დაინდო საფრთხის წინაშე, თითქმის ზედ მიეჭრა ფაშისტს და დაუშინა მას თავისი ტყვიამფრქვევის ცეცხლი.

„იუნკერსის" მარჯვენა სიბრტყეს ცეცხლი მოედო. გერმანელი პილოტი ამაოდ ცდილობდა ჩაექრო ალი. პოკროვმა კიდევ ერთი ჯერით დააჩქარა სვავის დაღუპვა. რომელიც მკვეთრ პიკეზე გადავიდა და ჭაობში ჩავარდა.

ასე იბრძვიან ახალგაზრდა მფრინავები, სწავლობენ თავისი უფროსი გვარდიელი ამხანაგებისაგან მტრის დამარცხების ხელოვნებას.

ეს იყო ახალგაზრდა მფრინავის ერთ-ერთი პირველი საბრძოლო ნათლობა. მას შემდეგ, იგი სისტემატურად აუმჯობესებს თავის საბრძოლო ტექნიკას და ახალ-ახალ წარმატებებს აღწევს.

ერთ ბრძოლაში ფაშისტებმა ვიტალი დასჭრეს, ხოლო თვითმფრინავი დაუზიანეს. იქმნებოდა საფრთხე, რომ ახალგაზრდა მფრინავი ამჯერად ველარ შეასრულებდა სარდლობის დავალებას. მაგრამ საბჭოთა მფრინავის გამძლეობა და სიმამაცემ სძლია ყოველ დაბრკოლებას. დაზიანებული თვითმფრინავით მან მეორედ წამოუარა მტრის ობიექტს და მაინც შესძლო ამოცანის შესრულება, მიუხედავად იმისა, რომ ჭრილობისაგან თავბრუ ესხმოდა. ამის შემდეგ მფრინავმა შესძლო დაზიანებული თვითმფრინავით კვლავ დაბრუნებულიყო თავის აეროდრომზე.

1942 წელს სარდლობამ იგი დააჯილდოვა ლენინის ორდენით. მას მიანიჭეს უმცროსი ლეიტენანტის წოდება. ამჟამად იგი რომს ავიაგამანადგურებელთა ჯგუფს და დაუნდობლად ურტყამს ჰაერიდან საზიზღარ მტერს.

აგვისტოში ამხ. პოკროვის მამამ ივანე პოკროვმა, რომელიც მუშაობს გაგრის ერთ-ერთი დასასვენებელი სახლის დირექტორად, მიიღო შვილისაგან წერილი, რომელშიც იგი სწერს: „ძვირფასო მამა! შეგიძლია მომილოცო შენს შვილს მთავრობის მესამე ჯილდო. წინათ მიღებული ლენინის ორდენისა და სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენის გარდა, სარდლობამ პოლკის მწყობრის წინ ჩამაბარა წითელი დროშის ორდენი".

ამხ. პოკროვი კვლავ ბრძოლის ველზეა და თავისი თვითმფრინავით ანადგურებს ჰიტლერელ არამზადებს.

ზ. ჭერქვილაძე

## დეპეშები

### მოკავშირეთა ავიაციის მოქმედება

**ლონდონი, 24 სექტემბერი** (საკდესი). ინგლისის ავიაციის სამინისტრო იუწყება, რომ 23 სექტემბერს ღამით ინგლისის ბომბდამშენებმა მოახდინეს გააფთრებული თავდასხმა მანჰაიმ-ლუდვიგსჰაფენზე. მიტანილ იქნა იერიში აგრეთვე დარმშტადტსა და აახენზე. ამერიკისა და ინგლისის ბომბდამშენები 23 სექტემბერს საღამოს თავს დაესხნენ ობიექტებს საფრანგეთში, ბელგიასა და ჰოლანდიაში.

### იტალიელთა ჯარები გერმანელების წინააღმდეგ იბრძვიან რომის რაიონში და ჩრდილოეთ იტალიაში

**ნიუ-იორკი, 24 სექტემბერი** (საკდესი). როგორც გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" ბერნელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, მიღებულია ცნობები, რომ იტალიელ ჯარისკაცთა დიდი ჯგუფები გააფთრებით იბრძვიან გერმანელთა წინააღმდეგ რომის რაიონში. უკანასკნელი ოთხი დღის განმავლობაში მათ მოიგეს ერთი ბრძოლა გერმანელთა მოტომექანიზებული ნაწილების წინააღმდეგ.

**ლონდონი, 24 სექტემბერი** (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს მადრიდელი კორესპონდენტი იუწყება, რომ იტალიელები იბრძვიან გერმანელთა წინააღმდეგ იტალია-საფრანგეთის საზღვარზე.

### გენერალი ჟირო კორსიკაში ჩავიდა

**ლონდონი, 24 სექტემბერი** (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს ალჟირის რადიოს ცნობას, რომ გენერალი ჟირო 21 სექტემბერს კორსიკაში ჩავიდა.

### იუგოსლაველი პარტიზანების წარმატებანი

**ლონდონი, 23 სექტემბერი** (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, იუგოსლაველმა პარტიზანებმა დაიკავეს დალმაციის სანაპიროსთან მდებარე რამდენიმე კუნძული, მათ შორის—კუნძულები რაბი და კორჩულა, აგრეთვე ნახევარკუნძული პელეშაცი. თითქმის მთელი დალმაციის სანაპირო პარტიზანების ხელშია.

კუნძულ რაბზე განთავისუფლებულია 5.000-მდე პოლიტიკური პატიმარი, რომლებიც მაშინვე შეუერთდნენ პარტიზანებს.

გადაჭრილია მთავარი სარკინიგზო ხაზი ბელგრად-ზაგრები და მაგისტრალი, რომელიც ერთმანეთთან აერთებს ვენას, ბუდაპეშტს, ბელგრადს, სოფიასა და სალონიკს. მოწინააღმდეგეს ამ გზით გადაჰყავდა ჯარები საბერძნეთში.

პარტიზანებსა და გერმანელებს შორის გააფთრებული ბრძოლები სწარმოებს აგრეთვე ჩერნოგორიის მთელი სანაპიროს გასწვრივ.

იუგოსლაველი და ალბანელი პარტიზანები მიუახლოვდნენ დიდმნიშვნელოვან ნავსადგურ ლეშს, რომელიც დაახლოებით 70 კილომეტრზე მდებარეობს დურაცოდან.

### ფრანგი პატრიოტების ბრძოლა

**ლონდონი, 23 სექტემბერი** (საკდესი). როგორც აფის სააგენტო გადმოგვცემს, ალიეს დეპარტამენტში მოქმედებენ ფრანგთა შეიარაღებული ჯგუფები, რომლებმაც თავი აარიდეს გერმანიაში გაგზავნას. მათი დიდი ნაწილი ტყეებში იმალება. პარტიზანებს კავშირი აქვთ გაბმული გლეხებთან, ეხმარებიან მათ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში, გლეხები კი თავის მხრივ სურსათით ამარაგებენ პარტიზანებს.

საფრანგეთის ბევრ რაიონში საოკუპაციო ხელისუფლები მასობრივად აპატიმრებენ გოშის ჯარების ოფიცრებს, დაპატიმრებულთა შორის ბევრია უმაღლესი თანამდებობის ოფიცრები. ოფიცერთა და უნტერ-ოფიცერთა ძველი კადრები ამავე დროს დააპატიმრეს პეტენის „ლეგიონის" გავლენიანი წევრები. ყველა დაპატიმრებულზე ეჭვი აქვთ მიტანილი, რომ ისინი წინააღმდეგობას უწევდნენ გერმანელ ოკუპანტებს.

### თურქი ჟურნალისტი დასცინის ყალბ ჰიტლერულ პროპაგანდის ხრიკებს

**სტამბოლი, 24 სექტემბერი** (საკდესი). თურქი ჟურნალისტი ჯაჰიდ იალჩინი გაზეთ „ხაბერში" მოთავსებულ სტატიაში დასცინის ჰიტლერული პროპაგანდის ხრიკებს, რომელიც ცდილობს როგორმე ახსნას გერმანიის ჯარების დამარცხებანი საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე.

— გერმანელები საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე, სწერს ავტორი,—იმდენად გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნენ, რომ ისეთ ახლადგამოგონებულ გამოთქმებსაც კი, როგორიც არის „ელასტიკური ტაქტიკა" და „მოძრავი თავდაცვა", უკვე აღარ ძალუძთ ამის დამალვა. გერმანელები სერიოზულ დამარცხებებს განიცდიან. გერმანელთა უკანდახევას ქვეყნიდან, რომელზეც თავდასხმა მოხდენილ იქნა გამარჯვების მიღწევის მიზნით, მსოფლიოს ყველა ენაზე დამარცხება ეწოდება. ახლა ამის არც დამალვა შეიძლება და არც უარყოფა. ახლოვდება გერმანიისათვის საშინელი ზამთარი. ზამთარი მთელი მისი გაჭირვებით, უბედურებითა და უიმედობით. მთელ მსოფლიოს სურს, რომ ეს ზამთარი უაღრესად სუსხიანი იყოს.

# საქ. კ. პ. (ბ) სოხუმის ქალაქკომის პლენუმი

სოხუმი („კომუნისტის“ საკ. კორ.). 20 სექტემბერს შესდგა საქ. კ. პ. (ბ) სოხუმის ქალაქკომის მორიგი პლენუმი, რომელმაც განიხილა ქალაქის წყალსადენ-კანალიზაციისა და ელექტროსადგურის მუშაობის გაუმჯობესების საკითხი.

ქალაქის წყლითა და ელექტროენერგიით მომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებებზე მოხსენებები გააკეთეს ქალ. სოხუმის წყალსადენ-კანალიზაციის სამმართველოს უფროსმა ამხ. გ. ნაჭყებიამ და ელექტროსადგურის უფროსმა ამხ. ნ. ზამთარაძემ.

მოხსენებათა გარშემო გაიშალა გაცხოველებული კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქალაქის პარტიულმა და სამეურნეო მუშაკებმა, აგრეთვე სპეციალისტებმა. ...

... და რომლებიც ყოველდღიურ ტექნიკურ ხელმძღვანელობას მოითხოვენ.

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა ი. იზრაიტელმა, ტ. პოვირსკერმა, ტ. გოგოხიამ, ს. გახოკიძემ აღნიშნეს, რომ ელექტრიკოსთა ახალი კადრების აღზრდას ჯერ კიდევ სუსტი ყურადღება ექცევა. ...

პლენუმმა დასახა სათანადო ღონისძიებანი აღნიშნული საკითხების გარშემო.

გ. მერკვილაძე

# გერმანელ ოფიცერთა კავშირის შექმნა*

1943 წლის 11 და 12 სექტემბერს მოსკოვის მახლობლად შესდგა გერმანელ ოფიცერთა კავშირის დამფუძნებელი კრება, რომელსაც დაესწრნენ: 100-ზე მეტი დელეგატი სამხედრო ტყვე ოფიცერთა ხუთი ბანაკიდან, ნაციონალურ კომიტეტ „თავისუფალი გერმანიის“ წევრები და სტუმრები. თავისი მიზნების განსაზღვრაში კავშირმა მთლიანად და სავსებით გაიზიარა ნაციონალურ კომიტეტ „თავისუფალი გერმანიის“ მოძრაობის პროგრამა და დაადგინა შეუერთდეს მას. გერმანელ ოფიცერთა კავშირის თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქნა არტილერიის გენერალი ფონ ზეიდლიცი, 51-ე საარმიო კორპუსის მეთაური. გერმანელ ოფიცერთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილეებად ერთხმად არჩეულ იქნენ: გენერალ-ლეიტენანტი ედლერ ფონ დანიელსი, 376-ე ქვეითი დივიზიის მეთაური, პოლკოვნიკი ვან გუვენი, მე-6 არმიის კავშირგაბმულობის უფროსი, და პოლ-

სატანკო დივიზიის მეთაური, და სხვები. კავშირმა მიიღო ქვემოთ გამოქვეყნებული „მიმართვა გერმანელი გენერლებისა და ოფიცრებისადმი, ხალხისა და არმიისადმი“. 1943 წლის 14 სექტემბერს შესდგა ნაციონალურ კომიტეტ „თავისუფალი გერმანიის“ სხდომა, რომელზეც დადგენილ იქნა გაფართოვდეს ნაციონალური კომიტეტის შემადგენლობა, რისთვისაც მასში შეყვანილ იქნან გერმანელ ოფიცერთა კავშირის შემდეგი წევრები: არტილერიის გენერალი ფონ ზეიდლიცი, გენერალ-ლეიტენანტი ედლერ ფონ დანიელსი, გენერალ-მაიორი ლატმანი, გენერალ-მაიორი კორფესი, პოლკოვნიკი შტეიდლე, პოლკოვნიკი ვან გუვენი, მაიორი ფონ ფრანკენბერგ-უნდ-პროშლიცი, მაიორი ფონ კნობელსდორფ-ბრენკენჰოფი, ობერ-ლეიტენანტი გერლახი. ამასთან ერთად ნაციონალურ კომიტეტ „თავისუფალი გერმანიის“ სხდომაზე დადგენილ იქნა შეივსოს ნაციონალური კომი- ...

# საკოლმეურნეო სოფელი აძლიერებს ფრონტისადმი დახმარებას

კასპის რაიონის მშრომელები, აღფრთოვანებულნი უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშლის ამხანაგ სტალინის ისტორიული ბრძანებებით და გმირი წითელი არმიის ბრწყინვალე წარმატებებით, თავდადებით იბრძვიან 1943 წლის უხვი სამხედრო მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებისათვის. 15 სექტემბრისათვის ყველა სახის მარცვლეული და ცერცვოვანი კულტურების მოსავლის აღების გეგმა შესრულებული იყო 74 პროცენტით. მოსავლის აღებასთან ერთად წარმატებით მიმდინარეობს ლეწვა და სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება. 15 სექტემბრისათვის გალეწილი იყო მარცვლეული და ცერცვოვანი კულტურების აღებული მოსავლის 84 პროცენტი. სახელმწიფოსათვის მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარების გეგმა შესრულებულია გადაჭარბებით. ასევე გადაჭარბებით არის შესრულებული წითელი ...

სავლის აღებასა და სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულებაში აქტიური დახმარება გაუწიეს ... 1.093 მოსწავლემ და 112 მასწავლებელმა, რომელთაც ... გამოიმუშავეს 20.000-ზე მეტი შრომადღე. ... დახმარება გაუწია 100-მდე მუშახელით. დახმარება გაუწიეს სახელდობრ სოფ. მეტეხის, ცხავერის, იგოეთის კოლმეურნეობებს წევრებმა და რკინიგზისა და ქალაქის მუშა-მოსამსახურეებმა.

მიღწევებთან ერთად აღსანიშნავია სერიოზული ნაკლოვანებანიც. სოფ. ბარნაბიანკარის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობამ მოსავლის აღების პირველ დღეებში დაუშვა დანაკარგები, ...

... თავიანი მოვალეობა სამშობლოს და ფრონტის წინაშე.

ვ. ქველაძე

საქ. კ. პ. (ბ) კასპის რაიკომის მდივანი

## ლაბუშ შაქრის ქარხნის ამოქმედება

ხაშური, 23 სექტემბერი (საქტეს). ხაშურის რაიონის კოლმეურნეობებში შეუდგნენ შაქრის ჭარხლის ამოღებას. ...

# ქართველი მებრძოლები ნოვოროსიისკისათვის ბრძოლაში

(„კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

სახელოვანმა საბჭოთა მებრძოლებმა გერმანელ-ფაშისტებს გამოსტაცეს და სამშობლოს დაუბრუნეს შავი ზღვის მნიშვნელოვანი ციხესიმაგრე, პორტი და ქალაქი ნოვოროსიისკი. ...

უფროსი ლეიტენანტი ი. კეზერაშვილი

ქ. ნოვოროსიისკი.

## სახელოსნო სასწავლებლების 20.000 მოსწავლე დონბასში მიდის

სახელოსნო სასწავლებლებისა და სფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების 20.000 მოსწავლე დონბასის ენერგეტიკული და მეტალურგიული საწარმოების აღსადგენად და სამონტაჟოდ მიდის.

მოსწავლეთა ბრიგადები იმუშავებენ ზუევისა და შტეროვკის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურსა და გორლოვკის თბოელექტროცენტრალში, სტალინოს, მაკეევკის, ენაკიევოს, კრამატორსკის, ტაგანროგის და სხვა უდიდეს მეტალურგიულ ქარხნებში.

ამჟამად საწარმოებს ბრიგადების დაკომპლექტება 33 რესპუბლიკას, ოლქსა და მხარეში (საქტეს).

## რთველი

სამტრედიის საბჭოთა მეურნეობებში რთველი სულ უფრო და უფრო ჩაღდება. უკვე მოკრეფილია 7.000 ცენტნერამდე ყურძენი აქედან 3.233 ცენტნერი ... ვაზიდან ქვეყანა ... ყურძენს, შარშან კი აკრეფილი 181.167 ცენტნერის ნაცვლად.

## „კომუნისტის“ წერილების კვალდაკვალ

### „ჩაის ფოთოლი არის ბევრი შეუსრულებელი“

ამ სათაურით გაზ. „კომუნისტის“ 1943 წლის 28 აგვისტოს ნომერში დაიბეჭდა კორესპონდენცია, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ბათუმის რაიონის სალიბაურის საბჭოთა მეურნეობასა და ზოგიერთ კოლმეურნეობაში შრომის მოუწესრიგებლობის შედეგად ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა ჭიანურდება. ამ წერილთან დაკავშირებით საქ. კ. პ. (ბ) ბათუმის რაიკომის მდივანი ამხ. ვ. სანიკიძე გვატყობინებს, რომ კორესპონდენციაში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეიცავს. პარტრაიკომმა განახორციელა მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებანი, რის შედეგად საბჭოთა მეურნეობაში ნაკლოვანებანი ნაწილობრივ უკვე გამოსწორებულია. სალიბაურის ჩაის ფაბრიკაში ჩაის მწვანე ფოთლის მიღების წესების სისტემატურად დარღვევისათვის ფაბრიკის აგრონომი ამხ. ზ. ტორაძე მოხსნილია სამუშაოდან.

კაპანდიბის სასოფლო საბჭოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ და გონიოს სასოფლო საბჭოს ტიმოშენკოს სახელობის კოლმეურნეობამ—მიღებული ზომების შედეგად ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის აგვისტოს გეგმა ვადაზე ადრე და მთლიანად შეასრულეს.

## მოსავლის აღება კოლმეურნეობებში

(საქმიწსახკომის 20 სექტემბრის ცნობებით)

| რაიონები | მარცვლეულისა და ცერცვოვანი კულტურების აღება პროცენტობით | გალეწილია თავთავიანი და ცერცვოვანი კულტურები პროცენტობით | აღებულია კარტოფილი პროცენტობით | თამბაქოს მტეხვა პროცენტობით |
|---|---|---|---|---|
| აფხაზეთის ასსრ | | | 18,9 | 50,5 |
| აჭარის ასსრ | 2,0 | | 1,6 | 62,8 |
| სამხრეთ-ოსეთის ა. ო. | 68,9 | 81,0 | 13,2 | |
| ზუგდიდი | | | | 83,6 |
| ჩოხატაური | | | 9,7 | 31,6 |
| ქუთაისი | 2,9 | 86,6 | 48,6 | |
| წყალტუბო | | | 76,1 | |
| სამტრედია | 6,3 | 73,0 | 76,9 | |
| ჭიათურა | 15,9 | 98,1 | 66,0 | |
| საჩხერე | 31,7 | 97,6 | 59,5 | |
| ორჯონიკიძე | 16,5 | 100,0 | 28,1 | |
| ონი | 55,9 | 94,8 | | |
| ამბროლაური | 42,9 | 95,0 | | |
| ცაგერი | 31,1 | 98,3 | | |
| ქვემო-სვანეთი | 40,6 | 90,7 | | |
| ახალქალაქი | 99,9 | 31,1 | | |
| ბოგდანოვკა | 71,2 | 20,0 | 5,6 | |
| ახალციხე | 78,9 | 93,2 | 6,9 | |
| ადიგენი | 66,3 | 97,3 | | |
| ასპინძა | 96,3 | 72,5 | | |
| ხაშური | 76,9 | 98,0 | 58,7 | |

| რაიონები | მარცვლეულისა და ცერცვოვანი კულტურების აღება პროცენტობით | გალეწილია თავთავიანი და ცერცვოვანი კულტურები პროცენტობით | აღებულია კარტოფილი პროცენტობით | თამბაქოს მტეხვა პროცენტობით |
|---|---|---|---|---|
| ქარელი | 75,1 | 94,7 | 52,7 | |
| გორი | 67,3 | 89,0 | 32,8 | |
| კასპი | 75,1 | 84,7 | 16,7 | |
| ბორჯომი | 50,3 | 44,7 | 7,6 | |
| წალკა | 80,3 | 19,2 | | |
| დუშეთი | 82,7 | 80,1 | | |
| თეთრი წყარო | 80,9 | 76,1 | 41,6 | |
| თიანეთი | 73,9 | 55,6 | | |
| გურჯაანი | 76,5 | 94,2 | 100,0 | 47,0 |
| სიღნაღი | 88,8 | 97,7 | 100,0 | 34,0 |
| წითელწყარო | 92,0 | 82,1 | 100,0 | |
| თელავი | 73,6 | 98,1 | 13,5 | |
| ყვარელი | 81,5 | 99,1 | 52,0 | 38,8 |
| ლაგოდეხი | 87,3 | 96,8 | 59,3 | 87,0 |
| თბილისი | 93,5 | 75,4 | 62,1 | |
| მცხეთა | 75,2 | 76,9 | | |
| ყარაია | 76,0 | 82,0 | | |
| ბორჩალო | 88,5 | 92,7 | 7,2 | 63,2 |
| ბოლნისი | 79,2 | 83,8 | 80,9 | 38,8 |
| საგარეჯო | 77,2 | 85,1 | 34,1 | |
| ბაშკიჩეთი | 79,5 | 34,7 | | |

ყველა სახის მარცვლეულისა და ცერცვოვანი კულტურების მოსავლის აღებისა თეთრი წყაროს რაიონიდან ცნობები ცხრილში მოცემულია 15 სექტემბრის მიხედვით.

# ბრძოლები პოლტავისათვის

მოქმედი არმია, 23 სექტემბერი (საკდესის სპეც. კორ.). წითელი არმიის ჯარების ახალ ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწიეს: დღეს სამი დღის დაძაბული ბრძოლების შედეგად გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთაგან განთავისუფლებულია უკრაინის ოლქის ცენტრი და რკინიგზის დიდი კვანძი ქალაქი პოლტავა. ...

## საქართველოს ხელოვნების მუშაკთა აქტივის თათბირი

24 სექტემბერს საქართველოს მწერალთა კლუბში შესდგა საქართველოს ხელოვნების მუშაკთა აქტივის თათბირი, რომელსაც თავმჯდომარეობდა ამხ. პ. კანდელაკი.

თათბირმა მოისმინა საქართველოს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის ამხ. ბ. გოგუას საინფორმაციო მოხსენება სამამულო ომის დღეებში ხელოვნების მუშაკების მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ. ...

თათბირზე შეჯამებულ იქნა საქართველოში ხელოვნების მიღწევები სამამულო ომის დღეებში თეატრის, მუსიკისა და მხატვრობის დარგში, აღინიშნა შემოქმედებითი ხარვეზები საზელოვნო დაწესებულებების მუშაობაში და დასახულ იქნა შემოქმედებითი ხასიათის ღონისძიებები ხელოვნების დარგში შემდგომი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

## თეატრი

## კინოში